სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1
საჯარო სკოლა

განმავითარებელი შეფასების როლი მოსწავლეთა ჩართულობის

გასაზრდელად Vა კლასის მაგალითზე

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი - ლია იასაღაშვილი

სარჩევი

აბსტრაქტი 4

თავი I 5

შესავალი 5

ინფორმაცია სკოლის შესახებ 5

საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მისი აქტუალურობის დასაბუთება 5

კვლევის მიზანი და ამოცანები 6

საკვლევი კითხვები 7

თავი II 7

ლიტერატურის მიმოხილვა 7

2.1 განმავითარებელი შეფასების არსი 8

2.2 მოსწავლეთა ჩართულობა 11

2.3 ეროვნული სასწავლო გეგმა 12

2.4 სხვა ქვეყნების გამოცდილება 17

თავი III 18

მეთოდოლოგია 18

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი 18

3.2 შერჩევა 18

3.3 მონაცემთა შეგროვება 19

3.4 კვლევის ვადები 19

3.5 მოსწავლეთა კითხვარის შედეგები 20

3.6 ფოკუს-ჯგუფის შედეგები 24

3.7 ინტერვიუ მასწავლებლებთან 25

თავი IV 25

4. ინტერვენციების დაგეგმვა 25

4.1 შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები 26

4.2 „დაფიქრდი - დაწყვილდი - გააზიარე“ 27

4.3 „ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება“ 28

4.4 „ვიცი - მინდა ვიცოდე - ვისწავლე“ 29

4.5 სამოტივაციო ბარათები 29

4.6 გრაფიკული ორგანიზატორები 30

4.7 მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება. 30
თავი V 32
5. ინტერვენციების შედეგები 32
5.1 კითხვარის ანალიზი 32
5.2 ფოკუს-ჯგუფის შედეგები 36
თავი VI 37
6.1 კვლევის მიგნებები 37
6.2 კვლევის შეზღუდვა 37
6.3 რეკომენდაციები: 38
6.4 დასკვნა 38
თავი VII 39
გამოყენებული ლიტერატურა: 39
დანართები 40
დანართი #1: მოსწავლეების ჩართულობის საზომი კითხვარი 40
დანართი #2: მოსწავლეების ფოკუს-ჯგუფის კითხვარი(დიაგნოსტირების ეტაპზე) 43
დანართი #3: ინტერვიუ მასწავლებელთან (დიაგნოსტირების ეტაპი) 44
დანართი #4: მოსწავლეების ფოკუს-ჯგუფის კითხვარი (ინტერვენციების შემდგომ ეტაპზე) 45
დანართი #5 შესასვლელი და გასასვლელი ბარათები 46
დანართი #6 „ვიცი - მინდა ვიცოდე - ვისწავლე“ 47
დანართი #7 სამოტივაციო ბარათები 48
დანართი #8 გრაფიკული ორგანიზატორები 48
რეფლექსია კვლევის გაზიარების შესახებ 56

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევა წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე: „განმავითარებელი შეფასების როლი მოსწავლეთა ჩართულობის გასაზრდელად Vა კლასის მაგალითზე“, რომელიც ჩატარდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში, Vა კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის საგანში.

კვლევის მიზანი იყო, გამეზარდა მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენებით, ამისთვის კი საჭიროა განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება.

კვლევის მიმდინარეობის დროს გამოვიყენე სამი სახის კითხვარი:

მოსწავლეთათვის, მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფისთვის და მასწავლებელთან ინტერვიუსთვის. კითხვარები გამოვიყენე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევიდან (ნათია გიორგაძე, სტეფლიანი, გაფრინდაშვილი. 2017).

გამოკითხვა ჩავატარე როგორც დიაგნოსტირების, ისე ინტერვენციების ეტაპებზე. მოსწავლეთა კითხვარები დიაგნოსტირებისა და ინტერვენციების შემდგომი ეტაპისთვის იყო ერთნაირი, ხოლო ფოკუს-ჯგუფის კითხვარი ინტერვენციების შემდგომ ეტაპზე განსხვავებულია.

მოსწავლეთა კითხვარი შედგებოდა 13 კითხვისგან, საკვლევ ჯგუფში იყო 23 მოსწავლე.

ჩემ მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის ამაღლებაში დიდი როლი აქვს განმავითარებელ შეფასებას.

კვლევის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ გაიზარდა როგორც მოსწავლეთა აქტიურობა, ასევე მათი სწავლის მოტივაცია, რაც შესაბამისად აისახა მათი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის ზრდასთან.

საკვანძო სიტყვები: განმავითარებელი შეფასება, ჩართულობა, მოტივაცია, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.

თავი I
შესავალი

ინფორმაცია სკოლის შესახებ

პრაქტიკული კვლევა განვახორციელე ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის N1 საჯარო სკოლაში. სკოლის დირექტორი - ირმა წაქაძე. სკოლა ერთცვლიანია. მოსწავლეთა საერთო რაოდენობაა - 723. სკოლაში ასწავლის 52 მასწავლებელი. მათგან 22 მასწავლებელი უფროსი კატეგორიისაა. სსიპ ქალაქ ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის N1 საჯარო სკოლის Vა კლასში სწავლობს 23 მოსწავლე, გოგონა – 11, ვაჟი-12. კლასს ვასწავლი 2018-2019 სასწავლო წლიდან.

საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მისი აქტუალურობის დასაბუთება

შეფასების საშუალებით მასწავლებელი ადგენს, თუ რამდენად შეესაბამება მოსწავლის ცოდნა და უნარები გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზანს. შესაბამისად, შეფასება სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მასწავლებელმა მიზანმიმართულად და ობიექტურად უნდა გამოიყენოს. შეფასების მიზანი სწავლა-სწავლების ხარისხის მართვაა. შეფასება არსებობს ორი სახის, განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების გამოყენებას ვიწყებთ მხოლოდ მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან, ისიც საკლასო დავალების კომპონენტში და ვიყენეთ მეთორმეტე კლასის ჩათვლით, ხოლო დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასება გვაქვს.

კვლევის დაწყებამდე ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, მასწავლებლები, მიუხედავად იმისა, რომ დაწყებით საფეხურზე იმყოფებიან მოსწავლეები, ნაკლებად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, ვინაიდან არ იცნობენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს და არ იციან როგორ გამოიყენონ საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებლები შემოიფარგლებიან სიტყვიერი შექებით, რაც, როგორც ვიცით შეფასება არ არის.

ამ კონკრეტულ კლასში მე მხოლოდ ამ სასწავლო წელს შევედი და ჩემმა დაკვირვებამ საგაკვეთილო პროცესებზე აჩვენა, რომ გაკვეთილის მიმდინარეობის დროს მოსწავლეების გარკვეული ნაწილი არ იყო ჩართული საგაკვეთილო აქტივობებში. ასევე, ამ კლასში სწავლობს ერთი აზერბაიჯანელი მოსწავლე, რომელსაც ენობრივი ბარიერი აქვს. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე აქტიურად გამომეყენებინა განმავითარებელი შეფასება, დამენერგა განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება საკუთარ პრაქტიკაში მოსწავლეთა ჩართულობის გასაზრდელად და ინტერესის გასაღვივებლად საგნის მიმართ.

კვლევის მიზანი და ამოცანები

ჩემი კვლევის მიზანი იყო, სასწავლო პროცესში აქტიურად გამომეყენებინა განმავითარებელი შეფასება და ამ შეფასების საშუალებით საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა გამეზარდა. ასევე, გამეზიარებინა კოლეგებისათვის საკუთარი გამოცდილება.

ასევე, მინდოდა, ამ კვლევის ფარგლებში, სწავლების დროს გამეთვალისწინებინა მოსწავლეთა ინტერესები, მინდოდა თითოეულ მოსწავლეს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოეყენებინა, ამემაღლებინა მათი თვითშეფასება. ამგვარად გავზრდიდი მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას.

ჩემი კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:

- გამოვიყენო საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები;
- გავუზიარო კოლეგებს საკუთარი გამოცდილება.

საკვლევი კითხვები

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, ჩამოვაყალიბე შემდეგი საკვლევი კითხვები:

- რამდენად დადებითად იმოქმედებს მოსწავლეებზე განმავითარებელი შეფასება?
- გაიზრდება თუ არა მოსწავლეთა დაინტერესება საგნის მიმართ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმნტების გამოყენების შედეგად?

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასების საშუალებით შესაძლებელია საგნის, მოვლენის, პროცესის შესაბამისობის დადგენა წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. შეფასება მასწავლებლებს საშუალებას აძლევს მოსწავლის მიღწევები შეუსაბამოს სასწავლო გეგმით და საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს (ტყემალაძე და სხვა. 2012).

გარდა იმისა, რომ შეფასება მასწავლებელს ეხმარება დაინახოს მოსწავლის წინსვლა, მიღწევები თუ საჭიროებები, ასევე აძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად სწორი მიმართულებით მიმდინარეობს მისი პროფესიული საქმიანობა და რამდენად კარგად იყენებს სწავლის სტრატეგიებს. განმავითარებელ შეფასებას ორი მიზანი აქვს: პირველი ესაა, მასწავლებელმა დაადგინოს მოსწავლის სუსტი და ძლიერიმხარეები და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს

მოსწავლეების აკადემიურ წინსვლას. მეორე მიზანი კი განსაზღვრავს, თუ რამდენად სწორად არჩევს იგი სწავლების სტრატეგიებს. ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებელმა სწორად გამოიყენოს მოსწავლის შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია. შეფასება მასწავლებელს ეხმარება განსაზღვროს მომავალი შედეგები (ტყემალაძე და სხვა. 2012).

2.1 განმავითარებელი შეფასების არსი

შეფასების ორი ფორმა არსებობს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. მასწავლებელმა თვითონ უნდა განსაზღვროს რომელ სიტუაციაში რომელ ფორმას გამოიყენებს მიზნის მისაღწევად (ტყემალაძე და სხვა. 2012). განმსაზღვრელი შეფასება სწავლის ხარისხს აკონტროლებს, ადგენს თუ რამდენად შეესაბამება მოსწავლის მიღწევის დონე ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა (ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024). ამგვარ შეფასებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ისინი ფიქრობენ, რომ შეფასების ეს სახეობა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობას ძაბავს და მოსწავლეები მხოლოდ ნიშნის გამო სწავლობენ.

განმავითარებელ შეფასებას ბევრი დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია. ჩვენ ქვეყანაში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, შეფასების ეს ფორმა გამოიყენება 2006 წლიდან. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ის ასევე აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების ცვლილებასა და ცოდნის ეტაპებს. განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებს თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრაში ეხმარება. ამ შეფასების დროს გამოიყენება ისეთი განმავითარებელი სტრატეგიები, როგორიცაა ზეპირი და წერილობითი კომენტარი, დაკვირვების ფურცელი, უკუკავშირი, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები და სხვა (ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024). განმავითარებელი შეფასების გამოყენება სასწავლო პროცესს საინტერესოს და შემოქმედებითს ხდის.

მასწავლებელი ამ შეფასების გამოყენებით იგებს მოსწავლის ცოდნის დონეს, მის საჭიროებებს, ხოლო მოსწავლე მასწავლებლის კომენტარებით და ამ შეფასების სხვადასხვა კომპონენტების გამოყენებით შეიტყობს სწავლის რა ეტაპზეა, რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარე.

დიმიტრი უზნაძეს მიაჩნდა, რომ განმსაზღვრელი შეფასების დროს მასწავლებელი სუბიექტურია, განმავითარებელი შეფასება კი სწავლას უფრო მიზანმიმართულს და შედეგიანს ხდის, ისეთი მოსწავლეებისთვისაც კი, რომლებიც დაბალი აკადემიური მიღწევებით გამოირჩევიან (ლაბარტყავა 2014).

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, განმავითარებელი შეფასების ფორმებია: მასწავლებლის მხრიდან ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ. ხოლო მოსწავლეებს შორის ურთიერთშეფასება და თვითშეფასება. მთელი სემესტრის განმავლობაში მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების გამოყენება ნებისმიერ კომპონენტში შეუძლია (ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024).

განმავითარებელი შეფასება არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობით, სწავლების სტრატეგიითა თუ სხვა საშუალებებით ინფორმაციის შეკრებას მოსწავლეთა გაგების/გააზრების დონის შესახებ და ამ ინფორმაციის გამოყენებას მათი პროგრესის ხელშესაწყობად. იმ საშუალებებს, რომლებითაც მსგავს ინფორმაციას ვაგროვებთ, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ეწოდება (გორგოძე 2016).

განმსაზღვრელი შეფასებისგან განსხვავებით, განმავითარებელი შეფასება მრავალფეროვანია. თუკი განმსაზღვრელი შეფასების დროს მოსწავლე საკუთარი ცოდნის შესახებ ინფორმაციას იღებს ქულის საშუალებით, განმავითარებელი შეფასების პროცესში მოსწავლე აცნობიერებს საკუთარ სუსტ და ძლიერ მხარეებს, ასევე მასწავლებელიც უფრო მარტივად განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნის დონეს და შეიმუშავებს შესაბამის ინტერვენციებს მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე.

განმსაზღვრელი შეფასებისგან განსხვავებით, განმავითარებელი შეფასება თავისი სტრუქტურიდან გამომდინარე უფრო ახლოს არის სწავლის პროცესთან, ვინაიდან განმავითარებელი შეფასება გულისხმობს აქტიურ პროცესს, რომელსაც ახორციელებს უშუალოდ მოსწავლე, ან მასწავლებელი გაკვეთილის მიმდინარეობის დროს, ამიტომ სასურველია მასწავლებელმა უფრო ხშირად გამოიყენოს შეფასების ეს ფორმა.

განმავითარებელი შეფასებები ისეთ დროს უნდა ხორციელდებოდეს, რომ მასწავლებელს უშუალოდ სწავლის პროცესში შეეძლოს ცვლილებების შეტანა, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება უკუკავშირის საშუალებით მოტივაციის გაზრდაში.

„განმავითარებელი შეფასების არსი სწორედ ისაა, რომ მან სწავლების პროცესის მოდიფიცირების და მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოს“(ნოზაძე 2013, გვ. 19). ამ ინფორმაციის მიწოდება კი ისეთ

დროს უნდა მოხდეს, რომ მასწავლებელმაც და მოსწავლემაც სწორად შეაფასონ სწავლა-სწავლებაში არსებული ვითარება, რომელიც დაეხმარებათ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში (ნოზაძე 2013).

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი არ გულისხმობს ქულის მინიჭებას. ის მასწავლებელს კლასში არსებული ვითარების სწორად შეფასებასა და სწორი უკუკავშირის მიცემაში ეხმარება, რაც განაპირობებს სასწავლო პროცესის წარმატებულობას.

განმავითარებელი შეფასება თავისი არსიდან გამომდინარე მოითხოვს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. კვლევები აჩვენებს, რომ მასწავლებლის მიერ განმავითარებელი შეფასების გამოყენება სასწავლო პროცესში ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და მოტივაციას, რაც შემდგომში დადებითად აისახება აკადემიურ მოსწრებაზე (ნოზაძე 2013).

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ განმავითარებელი შეფასების ეფექტურობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომელთაც დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ, იშვიათად ან საერთოდ არ ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში. ამ შემთხვევაში განმავითარებელი შეფასების ბევრი ინსტრუმენტი გულისხმობს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას გაკვეთილის მიმდინარეობაში (ნოზაძე 2013).

განმავითარებელი შეფასება მოსწავლეთა მაღალი აკადემიური უნარების განვითარებასთან ერთად, კლასში დადებით გარემოს ქმნის, ამაღლებს მოსწავლეთა თვითშეფასებას და აძლევს სტიმულს ისწავლონ და აქტიურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში. ყველაფერთან ერთად, როდესაც მასწავლებელი სხვადასხვა ინსტრუმენტებით დატვირთულ გაკვეთილს გეგმავს, სწავლა-სწავლება ხდება საინტერესო, რაც მოსწავლეებში ინტერესს იწვევს.

2.2 მოსწავლეთა ჩართულობა

თუკი მასწავლებელს სურს, რომ მოსწავლე ჩართოს საგაკვეთილო პროცესში, კარგად უნდა იცნობდეს მოსწავლეების ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. საგაკვეთილო პროცესში მათი ჩართულობა გავლენას ახდენს მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს კომპეტენტური საკუთარ საგანში, მაგრამ კომპეტენტურობის გარდა, დიდი მნიშვნელობა ცოდნის გადაცემასა და სწავლების მეთოდებს აქვს, არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელმა საგანი იცის, მაგრამ მოსწავლეთა ჩართვას საგაკვეთილო პროცესში ვერ ახერხებს, ასეთ დროს, მას განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ეხმარება.

გაკვეთილის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს შერი არსტეინი შემდეგნაირი სქემით გვთავაზობს:

თავდაპირველად მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გაკვეთილის თემის შესახებ. კონსულტაციის ეტაპზე მასწავლებელმა მოსწავლეებთნ ერთად უნდა გამოყოს მნიშვნელოვანი საკითხები, პრობლემები. მათივე დახმარებით გაკვეთილის თემა უნდა დაუკავშიროს რეალურ ფაქტებს, მოსწავლეთა გამოცდილებას და უპასუხოს მათ კითხვებს. რაც შეეხება ერთობლივი გადაწყვეტილების ეტაპს, ეს ნიშნავს მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობას, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, დავალებისთვის გამოყოფილი დრო და ა.შ. მხარდაჭერის ეტაპი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, რაც მასწავლებლისა და მოსწავლის კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას მოიაზრებს. ამ დონეზე მოსწავლეს აქვს სტიმული, რადგანაც მის გადაწყვეტილებას აქვს მასწავლებლის მხარდაჭერა.

2.3 ეროვნული სასწავლო გეგმა

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებითი საფეხურის მისიაა:

„ა) საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;

ბ) საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.“ რა თქმა უნდა, ამ პროცესში მასწავლებელს უდიდესი როლი აკისრია. მან უნდა შეუწყოს ხელი **ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპების განვითარებას ხელი.**

ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სწავლა-სწავლების პროცესი. ეს პრინციპებია:

ა) **სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.** მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაიქმნება მოსწავლის მიერ მისი აქტიური დამუშავების შედეგად. მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან გამოარჩევს ცოდნის შენებისთვის (კონსტრუირებისთვის) მნიშვნელოვან ელემენტებს და ცოდნად გარდაქმნის შერჩეულ ინფორმაციას სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის განხორციელების საფუძველზე.

ბ) **სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.** ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება. წინარე ცოდნა განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი.

გ) **სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას.** მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება ზრდის გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს.

დ) **სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).** სწავლის პროცესში მართებული ხერხებისა და მიდგომების გამოყენება წარმატებული სწავლის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. კონკრეტული მიზნის მისაღწევად განსახორციელებელ ქმედებათა გააზრებულად, გაცნობიერებულად დაგეგმვა და კოორდინირება ზრდის მოსწავლის ქმედობაუნარიანობას, ეხმარება მას მიზნის ეფექტიანად მიღწევასა და სიძნელეთა გადალახვაში. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია დააფიქროს მოსწავლე იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რომლებსაც იგი გამოიყენებს მიზნის მისაღწევად და დაეხმაროს მათ შორის, საუკეთესოს აღმოჩენაში.

ე) **სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.**

ე.ა) დეკლარატიული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას: რა ვიცი?

ე.ბ) პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას. პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო?

ე.გ) პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა?

ყველა მოსწავლე უნიკალურია და განსხვავებული შესაძლებობები, პირადი გამოცდილება, აკადემიური საჭიროება, სწავლის სტილი, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები აქვთ, რაც მასწავლებელმა სწავლა-სწავლების დროს უნდა გაითვალისწინოს.

სწავლა პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში უნდა მიმდინარეობდეს, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ განათლების მიღების პროცესში, ასევე საშუალება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც. აქვე გადავავლოთ თვალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით **მოსწავლის შეფასების მიზნებს, პრინციპებსა და ამოცანებს.**

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანი სწავლა-სწავლების ხარისხის მართვაა, ეს ნიშნავს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა გვაწვდიდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

მოსწავლის შეფასება სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ(ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024).

აქვე წარმოვადგენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით:

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	**მასწავლებელი:** ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.. **მოსწავლეები:** თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

2.4 სხვა ქვეყნების გამოცდილება

ფინურ სკოლებში 12 წლამდე ასაკის მოსწავლეებს ნიშნებით საერთოდ არ აფასებენ და დაწყებით კლასებში არც გამოცდები ტარდება. თითოეული მოსწავლე თავისი ჩვეული ტემპით ვითარდება. ისინი მოსწავლის შეფასებას დაბრკოლებად მიიჩნევენ საგანმანათლებლო მიზნების მიღწევის გზაზე. მშობლები წელიწადში ორჯერ იღებენ ინფორმაციას შვილის მოსწრების შესახებ, ეს ინფორმაცია კი მოსწავლის სწავლის პროცესის აღწერას გულისხმობს და არა ქულებს. თვითშეფასებას მოსწავლეს დაწყებითი კლასებიდანვე აჩვევენ და ეხმარებიან საკუთარი რესურსების მობილიზებასა და იმის გაცნობიერებაში, თუ რა შესაძლებლობები შეიძლება ჰქონდეს მას. ქულებით შეფასება (4-დან 10-მდე ქულა) მხოლოდ მეექვსე კლასიდან იწყება. საგნის სრული არცოდნა ფასდება „4″ ქულით. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლემ ხელახლა უნდა გაიაროს ეს კურსი. „4″ მინიმალურ ქულად შემთხვევით არ არის შერჩეული: ფინეთში ნებადართული არ არის მოსწავლის დამცირება შეფასებით, რომელიც შეიძლება „0″ ქულით გამოიხატოს. სხვადასხვა ქულა ცოდნის სხვადასხვა დონეს შეესაბამება: „7″ – საშუალო მაჩვენებელია, „8″ – კარგი შეფასება, „10″ ქულა კი – საუკეთესო.

ამრიგად, კვლევამ აჩვენა, რომ ფინეთში შეფასება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს განათლების ხარისხის ამაღლების საქმეში. შეფასება მარეგულირებელი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც გროვდება ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ასახავს საგანმანათლებლო სისტემის მდგომარეობას, მისი განვითარების ტენდენციასა და შედეგებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეფასების მოტივაციური ფუნქცია. შეფასება გამიზნულია მოსწავლის დადებითი თვისებების ფორმირებისთვის, რაც, პ ი რ ვ ე ლ რ ი გ შ ი , თავად მოსწავლეზე მოქმედებს დადებითად, წარმოადგენს სერიოზულ სტიმულს აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. ამასთან, შეფასებას არ აქვს შეჯიბრების ხასიათი. შეფასების ამგვარი სისტემის წყალობით კლასში მინიმუმამდეა

დაყვანილი სტრესი და ჩვეული ნერვიულობა. სკოლის დამთავრებამდე სტანდარტული გამოცდებისა და ტესტების არარსებობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ზომიერად და პოზიტიურად შეუფარდოს მოსწავლეს ნიშნები, რადგან მასწავლებლის მიზანია, ბავშვს ასწავლოს დამოუკიდებლად სწავლა, შესაბამისი უნარების განვითარება და საკუთარი მიღწევების შეფასება.

თავი III

მეთოდოლოგია

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლის Vა კლასის მოსწავლეები, სადაც სწავლობს 23 მოსწავლე. მათგან ერთი მოსწავლე არის აზერბაიჯანელი და აქვს ენობრივი ბარიერის პრობლემა.

3.2 შერჩევა

კვლევაში გამოვიყენე თვისებრივი მეთოდის ინსტრუმენტები: დაკვირვება, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, კითხვარები.

პრობლემის იდენტიფიცირებისათვის დაიგეგმა გამოკითხვის ჩატარება

კითხვარის საშუალებით, რომლებიც გამოვიყენე ილიას უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომიდან (ნათია გიორგაძე, სტეფლიანი, გაფრინდაშვილი. 2017), მაგრამ გავუკეთე მცირე მოდიფიცირება. კითხვარები განკუთვნილი იყოს მოსწავლეების, მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფისა და მასწავლებლებისათვის.

სკოლაში სულ არის 723 მოსწავლე და კვლევაში მონაწილეობა მიიღო 23 მოსწავლემ. ინტერვიუ ჩავწერე კლასის დამრიგებელთან.

მოსწავლეებთან ჩატარებული გამოკითხვის და ფოკუს-ჯგუფის მიზანი იყო დამედგინა მოსწავლეთა ჩართულობის დონე ქართულის გაკვეთილის მსვლელობის დროს, და,ენახა თუ რა დამოკიდებულება აქვთ მათ საგნის მიმართ, რა დოზით

ერთვებიან სასწავლო პროცესში, რამდენად აქტიურობენ გაკვეთილზე და მათი ეს აქტიურობა/ჩართულობა გამოწვეულია შინაგანი მოტივაციით, თუ ამას უბრალოდ მოვალეობის მოხდის მიზნით აკეთებენ. ხოლო მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს მიზანი იყო გაერკვია თუ რამდენად არის ინფორმირებული განმავითარებელი შეფასების შესახებ, რა დამოკიდებულება აქვს ამ შეფასების მიმართ ინტერვენციების შემდგომ მიღწეული შედეგის განსაზღვრის მიზნით განვახორციელე ჩემს გაკვეთილზე ჩართული დაკვირვება.

3.3 მონაცემთა შეგროვება

მონაცემების შეგროვებისას გამოვიყენე შემდეგი თვისებრივი მეთოდის შემდეგი ინსტრუმენტები:

- ფოკუსჯგუფი
- კითხვარი;
- ჩართული დაკვირვება;
- ინტერვიუ.

3.4 კვლევის ვადები

#	აქტივობა	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1	საკვლვეი პრობლემის შერჩევა	√								
2	კითხვარის შერჩევა მოსწავლეებისა და მასწავლებლები სათვის	√								
3	მოსწავლეთა გამოკითხვა	√								

4	მასწავლებელთა გამოკითხვა	√								
5	მიღებული შედეგების ანალიზი		√							
6	პრობლემის იდენტიფიცირება		√							
7	ინტერვენციების დაგეგმვა		√							
8	ინტერვენციების განხორციელება			√	√	√	√	√	√	
9	მეორადი მონაცემების შეგროვება								√	
10	ინტერვენციების შედეგების ანალიზი									√
11	კვლევის კოლეგებისთვის გაზიარება									√

3.5 მოსწავლეთა კითხვარის შედეგები

მოსწავლეთა ჩართულობა ნიშნავს იმას, რამდენად ხშირად კითხულობს მოსწავლე დამატებით ლიტერატურას, მართავს თუ არა მსჯელობას კლასელებთან ამ საგნის ფარგლებში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, ხშირად ასრულებს თუ არა დავალებებს და ა.შ. ჩემ მიერ შერჩეული კითხვარები ამ საკითხებს მოიცავს.

პრობლემის იდენტიფიცირების ეტაპზე კითხვარებისა და ფოკუს-ჯგუფის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეები ნაკლებად არიან ჩართულები სასწავლო პროცესში. სამიზნე ჯგუფში გამოყენებულმა კითხვარმა გამოავლინა, რომ მოსწავლეთა 48% ნაწილობრივ ეთანხმება შემდეგ დებულებას - საგანი მაინტერესებს და მსურს, რაც შეიძლება მეტი ვიცოდე ამ სფეროში. მოსწავლეთა დარჩენილ 52%-ს კი საგანი საინტერესოდ მიაჩნია და სურს რაც შეიძლება მეტი გაიგოს ამ საგნიდან.

დიაგრამა #1 მოსწავლეთა ინტერესი საგნის მიმართ



როდესაც საკითხი გაუგებარია, გამოკითხული მოსწავლეების მხოლოდ 20% მისვამს შეკითხვებს, ხშირად მეკითხება 20%, იშვიათად 60%.

დავალებებს ვასრულებ მხოლოდ იმიტომ, რომ გვავალებენ - ამ დებულებას ეთანხმება მოსწავლეთა 4%, არ ეთანხმება 66%, ხოლო 30% ფიქრობს სხვაგვარად, თუმცა

არ განმარტავს თავის მოსაზრებას, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დავალების შესრულების დროსაც არ იჩენენ ჩართულობას. გამოკითხული მოსწავლეებიდან ორი მოსწავლე სხვას აწერინებს, მათ შორის ერთი ხშირად დედას აწერინებს, ან სკოლაში თანაკლასელისგან იწერენ.

საგანში შემავალ საკითხებს აქტიურად განვიხილავ თანაკლასელებთან ერთად - ამ კითხვაზე სამმა დააფიქსირა პასუხი - ყოველთვის, ხუთმა აღნიშნა, რომ ხშირად

განიხილავს, 11 მოსწავლე - იშვიათად, ხოლო 7 - არასდროს, ანუ გამოკითხულ მოსწავლეთა 61% ნაკლებად არის ჩართული ამ პროცესში.

დიაგრამა #2 საკითხების განხილვა თანაკლასელებთან



როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩართულობას განაპირობებს ის ფაქტორიც, რამდენად ხშირად კითხულობს მოსწავლე დამატებით ლიტერატურას, მოსწავლეთა 28% არასდროს კითხულობს ლიტერატურას, 40% იშვიათად კითხულობს, 20% ხშირად, ხოლო 12% ყოველთვის.

დიაგრამა #3 მოსწავლეთა მიერ დამატებითი ლიტერატურის კითხვის მაჩვენებელი



მოსწავლეების 60% საგნის ცოდნას ღირებულებად მიიჩნევს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ისწავლოს, დარჩენილი ნაწილი კი ნაწილობრივ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ამ საგნის ცოდნა ღირებულია.

მოსწავლეების 70%-მა აღნიშნა, რომ საგანს სწავლობს ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, დანარჩენი 30% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

შეკითხვებზე - „საგანს ვსწავლობ იმიტომ, რომ ვიყო თანაკლასელებზე უკეთესი“ და „საგანს ვსწავლობ იმიტომ, რომ თანაკლასელებმა ჭკვიანად ჩამთვალონ“, გამოკითხულთაგან თანაბარმა რაოდენობამ, 13%-მა, ეს ფაქტორები მიიჩნია სწავლის მოტივად. გამოკითხულ მოსწავლეთა 20% კი ამბობს, რომ საგანს სწავლობს მასწავლებლის ყურადღების მიქცევის მიზნით. აქტიურად ვმონაწილეობ დისკუსიებში - ამ დებულებას მოსწავლეთა 20% ნაწილობრივ ეთანხმება, 23% - სრულიად, ხოლო 56% არ ეთანხმება.

ქართულის გაკვეთილებზე ჩართულობას გამოკითხულ მოსწავლეთა 35% აფასებს აქტიურად, ხოლო 48% ამბობს, რომ გაკვეთილებზე ზოგჯერ არის აქტიური.

დიაგრამა #4 მოსწავლეთა თვითშეფასება



3.6 ფოკუს-ჯგუფის შედეგები

ფოკუს-ჯგუფი ჩავატარე მოსწავლეებთან.

ფოკუს-ჯგუფში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მასწავლებელი არ იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეთა წახალისების მიზნით შემოიფარგლებიან მხოლოდ სიტყვიერი შექებით (ყოჩაღ! კარგი გოგო ხარ! კარგი ბიჭი ხარ!). ისინი არ იყენებენ შეფასების სხვადასხვა მეთოდებს. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებლები სვამენ შეკითხვას - გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა ახსნილი მასალა? ასეთ დროს მოსწავლეები პასუხობენ - „კი“, ან „არა“, მაგრამ ამის შემოწმება არ ხდება.

როდესაც მასწავლებლები სვამენ შეკითხვებს, თუკი მოსწავლე ვერ პასუხობს სწორად, სთხოვენ, რომ სხვა მოსწავლემ უპასუხოს, ან თვითონ პასუხობენ. არ ხდება სხვადასხვა შეკითხვების ფორმულირება და სწორ პასუხამდე მიყვანა. ამასთან ერთად, ზოგიერთ მასწავლებელს არასწორ პასუხზე ცუდი რეაქცია აქვს, მაგალითად, სახეზე იმჩნევენ,ან

მკაცრად ეუბნებიან, რომ „არ არის სწორი“, შედეგად მოსწავლეებს აქვთ შფოთვა არასწორ პასუხებზე.

3.7 ინტერვიუ მასწავლებლებთან

ინტერვიუ ჩავატარე კლასში შემავალ რამდენიმე მასწავლებელთან და დაწყებითი საფეხურის პედაგოგთან, რომელიც ასწავლიდა ამ მოსწავლეებს ოთხი წლის განმავლობაში.

ყველა პედაგოგმა დაასახალა მოსწავლეების ერთი და იგივე სახელი გვარი, ვინც ყოველთვის ჩართულია საგაკვეთილო პროცესში. დანარჩენებს სჭირდებათ გააქტიურება და საკუთარი ინიციატივით არ ერთვებიან აქტივობებში.

მასწავლებლებს ვესაუბრე განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობაზე, ისინი იცნობენ განმავითარებელ შეფასებას, მაგრამ ვერ იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. ისინი ძირითადად განმსაზღვრელ შეფასებას იყენებენ, გარდა მეოთხე კლასის მასწავლებლისა. არცერთი მასწავლებელი არ იყენებს ურთიერთშეფასების რუბრიკას

ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები არ მართავენ დისკუსიებს კლასში, მხოლოდ კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართავენ საგაკვეთილო პროცესს.

 დასასრულს, მასწავლელებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების არსის გაცნობა და მისი სწორად გამოყენება სასწავლო პროცესის წარმართვისას. ჩვენ ერთად შევთანხმდით, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობას, აზრების გაზიარებასა და ერთობლივი სამუშაოს დაგეგმვას.

თავი IV

4. ინტერვენციების დაგეგმვა

გადავწყვიტე შემერჩია ისეთი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც ყველაზე კარგად მუშაობდა ჩემს საკლასო სივრცეში და მიმეცა გამოყენების

სისტემატური ხასიათი, რათა შედეგი უფრო ეფექტური ყოფილიყო. შედეგად გადავწყვიტე ჩემი კვლევის ფარგლებში განმეხორციელებინა შემდეგი ინტერვენციები:

1. შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები;
2. „დაფიქრდი - დაწყვილდი - გაუზიარე“;
3. „ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება“;
4. „ვიცი - მინდა ვიცოდე - ვისწავლე“;
5. სამოტივაციო ბარათები;
6. გრაფიკული ორგანიზატორები;
7. მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება; ჯგუფური პრეზენტაცია.

ინტერვენციების ჩატარება დავიწყე 2018-2019 სასწავლო წლის ნოემბრიდან. ამ ინსტრუმენტებიდან ზოგიერთ მათგანს ვიყენებდი ყოველ გაკვეთილზე, ხოლო დანარჩენებს საჭიროებისამებრ.

4.1 შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები

განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია „შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები.“ ამ ბილეთებში მოცემულია მასწავლებლის მიერ სასწავლო მასალასთან დაკავშირებით მომზადებული ერთი ან რამდენიმე მოკლე კითხვა ან დავალება, რომელთა შესრულებაც 5 წუთს მოითხოვს. შესასვლელი ბილეთის მიზანია, გაკვეთილის დასაწყისში დაეხმაროს მოსწავლეებს წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ინტერესების, მანამდე არსებული ღირებულებების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში. მასწავლებელი გაკვეთილის მიმდინარეობისას ახერხებს თვალი გადაავლოს ამ ბილეთებს და შესაბამისად შეიტანოს ცვლილება გაკვეთილში.

გასასვლელი ბილეთი ეხმარება მასწავლებელს გაიგოს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა საკითხი და მიიღოს ინფორმაცია სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებით მოსწავლეთა მოსაზრებებისა და შეხედულებების შესახებ. მიღებული ინფორმაცია მასწავლებელს ეხმარება შემდეგი გაკვეთილის დასაგეგმად.

შესასვლელი და გასასვლელი ბილეთების საშუალებით მასწავლებელი მოსწავლეებისგან მოკლე დროში იღებს ინფორმაციას. შესასვლელი ბილეთი ეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაწყების პირველივე წუთებიდან მიმართოს მოსწავლეების ყურადღება შესასწავლს საკითხზე და შექმნას ეფექტური სასწავლო გარემო.

ასევე, ეს ბილეთები ეხმარება მოსწავლეებს, მოახდინონ რეფლექსია საკუთარ სწავლაზე, რაც ააქტიურებს მაღალი დონის სააზროვნო უნარებს, ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობასა და საკლასო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხს.

თავდაპირველად გამიჭირდა ამ ბილეთების გამოყენება და იმაზე მეტ დროს ვხარჯავდი, ვიდრე გათვალისწინებული მქონდა, მისვამდნენ ბევრ შეკითხვას, მაგრამ მოსწავლეებმა თანდათან ისწავლეს ამ ბილეთების დანიშნულება(იხ. შესასვლელი და გასასვლელი ბილეთების ნიმუშები, დანართი #5)

4.2 „დაფიქრდი - დაწყვილდი - გააზიარე“

ეს ინსტრუმენტი ეხმარება მასწავლებელს ყველა მოსწავლე აქტიურად ჩართოს და სიღრმისეულად გააზრებინოს სასწავლო მასალა. მასწავლებელი მოსწავლეებს არ აწვდის მზა დასკვნებს, არამედ აძლევს დროს, რომ დაფიქრდნენ საკითხის შესახებ. ამის შემდეგ მსჯელობენ მეწყვილესთან ერთად და ბოლოს უზიარებენ მთელ კლასს. ეს ინსტრუმენტი ასევე ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, მიღებული ინფორმაციის შეჯამებასა და დასკვნების გამოტანას.

ამ ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ დროს გაკვეთილის მიმდინარეობისას. მაგალითად, წინარე ცოდნის გასააქტიურებლად, ახალი მასალის შესასწავლად, ან რაიმე პრობლემური საკითხის გადაჭრისას.

მე ამ ინსტრუმენტს ვიყენებდი ტექსტის დამუშავების ეტაპზე, როდესაც ჩემი მიზანი იყო რამდენად სწორად გაიგეს შინაარსი, ან რა დასკვნები გამოიტანეს წაკითხულიდან, რას ეთანხმებიან, ან არ ეთანხმებიან. შემდეგ ვთხოვდი მოსწავლეებს, რომ ემსჯელათ მეწყვილესთან ერთად, დროის დაზოგვის მიზნით ვაწყვილებდი მის ახლოს

მჯდომთან. ბოლოს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით რამდენიმე წყვილს ვთხოვდი, რომ გაეზიარებინათ მთელი კლასისთვის მოსაზრებები. მიუხედავად იმისა, რომ ინსტრუქციებს ვაძლევდი დაწვრილებით, თავდაპირველად ამ ინსტრუმენტის გამოყენება იწვევდა ხმაურს, მაგრამ თანდათან მოსწავლეებმა ისწავლეს ამ ინსტრუმენტით მუშაობა.

4.3 „ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება“

განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოვიყენე - „სამი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება.“ ამ ინსტრუმენტის საშუალებითკონკრეტულ თემასთან დაკავშირებული ცოდნის შეფასება ხდება. მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ (დაწერონ ან ხმამაღლა თქვან) ორი ჭეშმარიტი დებულება/ფაქტი, რაიმე თემასთან ან საკითხთან დაკავშირებით და შემდეგ გაუზიარონ მეწყვილეს, მცირე ჯგუფს, ან მთლიან კლასს. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი დებულება არ შეესაბამება სიმართლეს (ხუნძაყიშვილი და ბივერი.2018).

გაკვეთილის დაწყების დროს, მოსწავლეებს ვაცნობდი ამ დავალების ინსტრუქციას,მაგრამ მოგვიანებით საკმარისი იყო მხოლოდ ინსტრუმენტის სახელი მეთქვა, ინსტრუქციის გაცემა აღარ იყო საჭირო. ეს აქტივობა მეხმარებოდა გამეგო მთელი კლასის ცოდნა გამოსაკითხ გაკვეთილთან დაკავშირებით. არასოდეს მომწონდა ტრადიციულად ერთი ან ორი მოსწავლის მიერ მოყოლილი გაკვეთილი, ასეთ დროს, შესაძლებელია, რომ ვერ გავიგოთ ყველა მოსწავლის ცოდნა და შესაბამისად იქნებოდნენ კლასში ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც არ ჩაერთვებოდნენ საგაკვეთილო პროცესში. ამ აქტივობის შესასრულებლად ინდივიდუალურად ყველა მოსწავლეს სამუშაო რვეულში უნდა დაეწერა ორი ჭეშმარტი და ერთი მცდარი დებულება. ეს დებულებები მომზადებული გაკვეთილიდან გამომდინარე იყო, რომელიც მათ იმ დღისთვის ჰქონდათ. დავალებისთვის მოსწავლეებს ვაძლევდი 5-7 წუთი. დროის ამოწურვის შემდეგ,

მოსწავლეთა ნაწილი კითხულობდა თავის შედგენილ დებულებებს, ნაწილს კი უნდა ამოეცნო ჭეშმარიტი და მცდარი წინადადებები. კლასის ყველა მოსწავლე

აქტიურობდა, ამ აქტივობის შესრულებას ყოველთვის სიხალისე შემოჰქონდა. როცა ერთი მოსწავლე კითხულობდა, კლასის დარჩენილი ნაწილი ყურადღებით უსმენდა, რათა ამოეცნოთ ჭეშმარიტი და მცდარი დებულებები. ბოლოს ვაძლევდი უკუკავშირს.

4.4 „ვიცი - მინდა ვიცოდე - ვისწავლე“

ეს ინსტრუმენტი განკუთვნილია თვითშეფასებისთვის და მოსწავლეებში აღძრავს ცნობისმოყვარეობას, უბიძებს მას ახლის შემეცნებისკენ. მოსწავლემ ცხრილში უნდა წარმოადგინოს, რა ცოდნას ფლობს, რისი შესწავლა სურს, რა ისწავლა. ამ აქტივობის გამოყენება მეხმარებოდა გამეაქტიურებინა მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამეძლიერებინა მოსწავლეთა სურვილი შეესწავლათ ახალი მასალა. ეს ინსტრუმენტი ხელს უწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.

ამ ინსტრუმენტს ვიყენებდი ახალი თემის შესწავლის პროცესში და მოსწავლეები ეტაპობრივად ავსებდნენ ცხრილს, რამდენჯერმე რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში გაგრძელდა ცხრილის შევსება. ხშირად ვავალებდი, რომ ცხრილი წყვილებში შეევსოთ. უნდა აღვნიშნო, რომ ზოგჯერ უჭირდათ ცხრილის შევსება და ამბობდნენ, რომ არაფერი იცოდნენ ამ საკითხთან დაკავშირებით, ასეთ დროს ვეხმარებოდი მინიშნებებით, ხანდახან ტოვებდნენ გრაფებს და ავსებდნენ, მაგალითად, „მინდა ვიცოდეს“ გრაფას (იხ.ინსტრუმენტის დანართი #6).

4.5 სამოტივაციო ბარათები

სამოტივაციო ბარათები ჩემ მიერ შექმნილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. ყოველი გაკვეთილისთვის მომზადებული მაქვს ბარათები, რომელსაც აქვს წარწერა „მე ვამაყობ შენით, რადგან...“. მრავალწერტილის ადგილზე ვწერ იმ უნარ-ჩვევასა თუ ცოდნას, რასაც მოსწავლე გაკვეთილზე გამოავლენს. გაკვეთილზე ნებისმიერმა მოსწავლემ შესაძლოა მიიღოს ბარათი და არ არის დამოკიდებული

შეფასების რუბრიკაზე. მაგალითად, შესაძლოა ამ გაკვეთილზე ვაფასებ მოსწავლის ჩართულობას, მოსწავლემ ბარათი მიიღოს სხვა კომპონენტში.

ბარათს ვიყენებ გაკვეთილის ბოლოს. ამ ინსტრუმენტის გამოყენება მოსწავლეებში ამაღლებს თვითშეფასებას, ცდილობენ იყვნენ უფრო ჩართულები საგაკვეთილო პროცესში. ბავშვებს განსაკუთრებით მოსწონდათ ამ ინსტრუმენტის გამოყენება და ითვლიდნენ ვის რამდენი სამოტივაციო ბარათი ჰქონდა (იხ. სამოტივაციო ბარათის ნიმუშები, დანართი #7).

4.6 გრაფიკული ორგანიზატორები

ეს ინსტრუმენტი გულისხმობს სქემებს, რომლებიც გამოიყენება რაიმე ფაქტებს, ცნებებს, მოვლენებს შორის არსებული ურთიერთმიმართების გრაფიკული სახით გამოსახატავად. მოკლედ, ცოდნის ვიზუალური სახით წარმოდგენა.

გრაფიკული ორგანიზატორები მეხმარებოდა, რომ მოსწავლეებს კარგად გაეანალიზებინათ სასწავლო მასალა - ერთმანეთისაგან გამოყონ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია, გადაჭრან პრობლემები. სქემები ეხმარება მოსწავლეებს არსებული ინფორმაციის ორგანიზებაში. სქემების სახით ინფორმაციის გაანალიზება ჩემთვისაც მოსახერხებელი იყო, ადვილად ჩანდა, როგორ გაიაზრეს მოსწავლეებმა მასალა და სწრაფად ვაფასებდი მათ. ეს ინსტრუმენტი ხელს უწყობდა მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების გავითარებაში. მოსწავლეებს ძალიან მოსწონდათ სქემებით მუშაობა და თუკი გვქონდა ისეთი გაკვეთილი, როდესაც არ ვიყენებდი სქემას, მთხოვდნენ, რომ გაგვეკეთებინა სქემებით (იხ. ვიზუალური სქემები დანართი #8).

4.7 მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება.

შეფასების რუბრიკა თანაბარი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების დროსაც. შეფასების რუბრიკა უჩვენებს მოსწავლეს, რას მოელის მისგან მასწავლებელი, როგორ უნდა შეისწავლოს

საკითხი და როგორ უნდა შეაფასოს საკუთარი ცოდნა დამოუკიდებლად. ეს ერთ-ერთი ხერხია, რომელიც ეხმარება მოსწავლეს მეტაკოგნიტური და თვითრეგულირებადი სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

ამიტომ, დავისახე მიზნად, ყოველი გაკვეთილის დაწყების წინ დეტალურად ამეხსნა მოსწავლეების შეფასების რუბრიკა, რათა სცოდნოდათ, რას მოველოდი მათგან. რუბრიკების აქტიურად გამოყენება მეხმარებ'ოდა ეფექტური უკუკავშირის მიცემაში.

მიხედავად იმისა, რომ დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა შეფასების რუბრიკების შექმნა, წარმატებულად ვთვლი ამ ინსტრუმენტის გამოყენებას.

ხშირად ვიყენებდი თვითშეფასების რუბრიკას.

ცხრილი#1

გაკვეთილის სათაური	კარგად მოვამზადე გაკვეთილი	ნაწილობრივ მოვამზადე გაკვეთილი	მჭირდება დამატებითი მუშაობა
თემა, რომელსაც იმ დღეს გავდივართ			

როდესაც მოსწავლეები ამ რუბრიკას ავსებდნენ, მიბრუნებდნენ გაკვეთილის დამთავრებისთანავე და ვეცნობოდი, შემდეგ არასაგაკვეთილო დროს დროს განვიხილავდი მოსწავლეებთან ერთად და ვაძლევდი უკუკავშირს. რუბრიკის შევსების დროს მოსწავლეები სახელსა და გვარს არ უთითებდნენ, თავდაპირველად შფოთვა მაინც ჰქონდათ, მაგრამ თანდათან მოემატათ თავდაჯერებულობა.

ურთიერთშეფასებას თითქმის ყოველ გაკვეთილზე ვიყენებდი. გაკვეთილის ბოლოს ვსვამდი შეკითხვას „დაასახელე, ვინ გაგაოცა დღეს და რატომ?“. მოსწავლეები ასახელებდნენ თანაკლასელს, მაგრამ საწყის ეტაპზე უჭირდათ შეფასებას და ამბობდნენ, რომ „კარგი გოგოა“, „კარგი ბიჭია“, „კეთილია“ და ასე შემდეგ, მაგრამ თანდათან ისწავლეს რუბრიკის მიხედვით, გაკვეთილის მიზნიდან გამომიდნარე ერთმანეთის შეფასება.

თავი V

5. ინტერვენციების შედეგები

5.1 კითხვარის ანალიზი

ბოლო ეტაპზე, შედეგების შესაჯამებლად, საკვლევ ჯგუფში შევიტანე იგივე კითხვარი, რაც თავდაპირველად პრობლემის იდენტიფიცირების ეტაპზე გამოვიყენე. ამ კითხვარის მიზანი იყო, რამდენად გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობის მაჩვენებლი საგაკვეთილო პროცესში და შეიცვალა თუ არა მათი დამოკიდებულება საგნის მიმართ. ყველა მოსწავლემ მიიღო გამოკითხვაში მონაწილეობა. ასევე, ჩავატარე ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან, რომელსაც კლასის უმრავლესობა ესწრებოდა. ფოკუს-ჯგუფის შედეგად საინტერესო ინფორმაციები ამოვიღე მოსწავლეებისგან, მაგალითად, ერთ-ერთმა მოსწავლემ თქვა, რომ „არ მეგონა, თუ ასეთი საინტერესო იქნებოდა ქართულის გაკვეთილები“. მოსწავლეები ამბობდნენ, რომ ზარის ხმაზე გარეთ გასვლა არ უნდოდათ და ამას მეც ვამჩნევდი, განსაკუთრებით მეორე სემესტრის განმავლობაში. ასევე, ერთმა მოსწალემ აღნიშნა, რომ „არ მიყვარდა ქართულის გაკვეთილები და ახლა შემიყვარდა“.

მოსწავლეთა კითხვარის გაანალიზების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა 91% დაინტერესებულია ქართულის გაკვეთილით და სურვილს გამოთქვამს, რათა მეტი იცოდეს ამ საგანში. საწყის ეტაპზე ამ დაინტერესებას მხოლოდ 52% გამოთქვამდა. შედეგად, ჩანს, რომ გაზრდილია დაინტერესებულთა რაოდენობა.

დიაგრამა #5 მოსწავლეთა ინტერესი საგნის მიმართ



სწავლაში ჩართულობის ერთ-ერი მაჩვენებელია თანაკლასელებთან ერთად საგანში შემავალი საკითხების აქტიური განხილვა. კვლევის ჩატარებამდე კლასში მოსწავლეთა მხოლოდ 39% განიხილავდა თანკლასელებთან ერთად, ხოლო კვლევის შემდეგ ამ კომპონენტშიც გაზრდილია მაჩვენებლი და აწეულია 57%-მდე.

დიაგრამა #6 საკითხების განხილვა თანაკლასელებთან



დიაგნისტირების ეტაპზე მოსწავლეთა 28% არასდროს კითხულობდა ლიტერატურას, 40% იშვიათად კითხულობდა, ხოლო ხშირად და ყოველთვის - 32%. ინტერვენციების შემდეგ ეს მაჩვენებელიც გაიზარდა და ამ შემთხვევაში მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც ხშირად ეცნობიან დამატებით ლიტერატურას შეადგენს - 44%-ს, ხოლო ყოველთვის ვინც ეცნობა - 26%-ს. 13% - არასდროს და 17% იშვიათად ეცნობა.

დიაგრამა #7 მოსწავლეთა მიერ დამატებითი ლიტერატურის კითხვის მაჩვენებლი



კვლევამ აჩვენა მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც ცდილობდნენ, რომ სხვისგან გადაეწერათ დავალება საგრძნობლად შემცირდა და ესაც იმის მაჩვენებლია, რომ მოსწავლეთა ჩართულობა გაზრდილია.

მოსწავლეებს გამოვკითხე, თუ როგორ შეაფასებდნენ თავიანთ ჩართულობას ინტერვენციების განხორციელების შემდეგ საგაკვეთილო პროცესში. გამოკითხულთა 65%-მა აღნიშნა, რომ ყოველთვის აქტიურობს გაკვეთილზე. ეს აქტიურობა კვლევამდელ მაჩვენებელთან შედარებით, გაზრდილია 30%-ით.

დიაგრამა #8 მოსწავლეთა თვითშეფასება



5.2 ფოკუს-ჯგუფის შედეგები

ინტერვენციების ეტაპის დასრულების შემდეგ ჩავატარე ფოკუს ჯგუფი მეხუთე კლასის მოსწავლეებთან, თუმცა ყველა მოსწავლე არ ესწრებოდა, 19-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა ფოკუს-ჯგუფში. ამ ეტაპზე შევიტანე ახალი კითხვარი და მოსწავლეებს ვთხოვე შეედარებინათ გაკვეთილები ინტერვენციების დაწყებამდე და შემდეგ. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ გაკვეთილები გახდა უფრო საინტერესო და სახალისო. თითქმის ყველა იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში. აღნიშნეს, რომ კვლევის მიმდინარეობამ მათთვის მეტად საინტერესო გახადა საგანი, ინტერესით ელოდებოდნენ ყოველ გაკვეთილს, რადგან იცოდნენ, რომ მასწავლებელი საინტერესოდ წარმართავდა სასწავლო პროცესს, სადაც მთელი კლასი აქტიურად იქნებოდა ჩართული. მოსწავლეებს მოსწონდათ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, რომლებსაც მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე სთავაზობდა. ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი გაკვეთილების ჩამოთვლისას დაასახელეს ისეთი

გაკვეთილები, რომლის დროსაც გამოყენებული იყო განმავითარებელი შეფასების შემდეგი ინსტრუმენტები - „ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება“, გრაფიკული სქემები და სამოტივაციო ბარათების გამოყენება. აღნიშნეს, რომ ეს აქტივობები მათ ცოდნის გაღრმავებაში დაეხმარათ. გაიხსენეს ჩემ მიერ მიცემული უკუკავშირები, რომელიც მოსწავლეებს ეხმარებოდა შეცდომების გამოსწორებაში.

მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მომავალი წლიდან კარგი იქნებოდა, თუ სხვა საგნის მასწავლებლებიც მსგავსად ჩაატარებდნენ გაკვეთილებს, რადგან მათთვის უფრო საინტერესო და სახალისო გახდებოდა საგანი, სწავლაც არ დაეზარებოდათ.

მათივე თქმით, არცერთი მასწავლებელი არ იყენებდა მსგავს აქტივობებს საგაკვეთილო პროცესში, რასაც მე ვახორციელებდით კვლევის ფარგლებში.

თავი VI

6.1 კვლევის მიგნებები

- ხშირად მოსწავლეები იჩენდნენ ინიციატივას ამა თუ იმ აქტივობის განახორციელებლად, რაც იმის მაჩვენებლია, რომ გაიზარდა მათი დაინტერესება საგნის მიმართ;
- გაუმჯობესდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, რაც ჩემი კვლევის ფარგლებში პირდაპირი მიზანი არ ყოფილა.

6.2 კვლევის შეზღუდვა

- განმავითარებელი შეფასების გამოყენება უნდა გაგრძელდეს იგივე ინტენსივობით, რათა არ დაიკარგოს ეფექტი. ეს ყველაფერი კი დიდ დროს, ენერგიასა და რესურსს მოითხოვს;
- ჩემი კვლევა განხორციელდა მხოლოდ მეხუთე კლასში და ამ შედეგებს ვერ განვაზოგადებ და ვერ ვიტყვი, რომ ჩემ მიერ გამოყენებული განმავიტრებელი შეფასების ინსტრუმენტები ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე მოგვცემს ეფექტურ შედეგს.

6.3 რეკომენდაციები:

- გაგრძელდეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება იგივე ინტენსივობით;
- გაძლიერდეს მასწავლებელთა შორის თანამშრომლობა და მათაც გამოსცადონ საკუთარ პრაქტიკაში ამ ინსტრუმენტების გამოყენება;
- მნიშვნელოვანია ინსტრუმენტების განახლება, რათა მოსწავლეებს არ მობეზრდეთ და მოსაწყენი არ იყოს.

6.4 დასკვნა

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევაზე დაყრდნობით შემიძლია ვთქვა, რომ განმავითარებელი შეფასება დამეხმარა მოსწავლეთა აკადემიური უნარების განვითარებაში, შექმნა კლასში დადებითი გარემო, სადაც მოსწავლეები არ იყვნენ დაყოფილები“ნიჭიერ“ და „ზარმაც“ ბავშვებად. განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებამ აუმაღლა მათ მოტივაცია და თვითშეფასება, შესაბამისად, გაიზარდა მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. განმავითარებელი შეფასების გამოყენება კლასში ქმნის ისეთ გარემოს, რაც დადებიტად მოქმედებს მოსწავლეების ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო ასაკში, რადგანაც ხშირად გვხვდება სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული გარდატეხის ასაკის ფსიქოლოგიური პრობლემები, რაც აფერხებს მოსწავლეების აქტიურობასა და ჩართულობას გაკვეთილზე.

მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილებისადმი პოზიტიურმა დამოკიდებულებამ, ჩემზეც დადებითი გავლენა მოახდინა პროფესიული საქმიანობის თვალსაზრისით. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის ამაღლებაში დიდი როლი აქვს განმავითარებელ შეფასებას. კვლევის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ გაიზარდა როგორც მოსწავლეთა აქტიურობის მაჩვენებელი, ასევე მათი სწავლის მოტივაცია, რაც კავშირშია მათი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის ზრდასთან.

თავი VII

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გორგოძე, სოფო. 2016. „შეფასებისა და ტესტირების ძირითადი პრინციპები.“ლექცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
2. ვიზუალური სქემები და გრაფიკული ორგანიზატორები, სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, G-PRIDE;
3. გიორგაძე ნათია, ხათუნა სტეფლიანი და ანა გაფრინდაშვილი. 2017. განმავითარებელი შეფასების როლი მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლებაში. სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
4. თინიკაშვილი დავით, 2013. „შეფასების თავისებურებანი ფინეთის სასკოლო განათლებაში“. ჟურნალი მასწავლებელი. http://mastsavlebeli.ge/?p=2378 .
5. ლაბარტყავა, ნინო. 2014. განმავითარებელი შეფასების საშუალებები.ჟურნალი მასწავლებელი. http://mastsavlebeli.ge/?p=1869;
6. ლაბარტყავა, ნინო. 2014. რატომ არის მნიშვნელოვანი განმავითარებელი შეფასება. ჟურნალი მასწავლებელი. http://mastsavlebeli.ge/?p=2076 ;
7. ნოზაძე, გიორგი. 2013. განმავითარებელი შეფასების შესახებ. ჟურნალი მასწავლებელი. http://mastsavlebeli.ge/?p=2221;
8. ნოზაძე, გიორგი. 2013. კიდევ ერთხელ განმავითრებელი შეფასების შესახებ. ჟურნალი მასწავლებელი, N3: 19-20 ;
9. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2017-2023. ეროვნული სასწავლო გეგმა. http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhalisastsavlo-gegmebi- 2017-2023 ;
10. ტყემალაძე, რუსუდან, ნანა დალაქიშვილი, ქეთევან თოფაძე, თათია პაჭკორია, თამარ ბუწაშვილი. 2012. „სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო II“, მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრი;

11. ხუნძაყიშვილი, მარიანა და ბივერი სარა. 2018. ,,განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება." გამოქვეყნების პროცესში. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

დანართები

დანართი #1: მოსწავლეების ჩართულობის საზომი კითხვარი

1. საგანი მაინტერესებს და მსურს, რაც შეიძლება მეტი ვიცოდე ამ სფეროში.

ა) სრულიად ვეთანხმები

ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები

გ) არ ვეთანხმები

2. თუ რამე ვერ გავიგე, ვეკითხები მასწავლებელს.

ა) ყოველთვის

ბ) ხშირად

გ) იშვიათად

დ) არასდროს

3. საგანში შემავალ საკითხებს აქტიურად განვიხილავ თანაკლასელებთან ერთად.

ა) ყოველთვის

ბ) ხშირად

გ) იშვიათად

დ) არასდროს

4. დავალებები არ მომწონს, ვასრულებ მხოლოდ იმიტომ, რომ გვავალებენ.

ა) ვეთანხმები

ბ) არ ვეთანხმები

5. მოცემულ საგანში, დამატებით ლიტერატურასაც ვკითხულობ.

ა) ყოველთვის

ბ) ხშირად

გ) იშვიათად

დ) არასდროს

6. თუ შესაძლებლობა მომეცა, ვცდილობ გადავიწერო, ან სხვას ვთხოვ დავალების დაწერას.

ა) ყოველთვის

ბ) ხშირად

გ) იშვიათად

დ) არასდრო

7. ამ საგნის ცოდნა ღირებულია და ვცდილობ რაც შეიძლება მეტი ვისწავლო.

ა) სრულიად ვეთანხმები

ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები

გ) არ ვეთანხმები

8. ამ საგანს ვსწავლობ იმიტომ, რომ დავიკმაყოფილო ცნობისმოყვარეობა

ა) სრულიად ვეთანხმები

ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები

გ) არ ვეთანხმები

დ) სხვა

9. ამ საგანს ვსწავლობ იმიტომ, რომ ვიყო თანაკლასელებზე უკეთესი

ა) სრულიად ვეთანხმები

ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები

გ) არ ვეთანხმები

დ) სხვა

10. ამ საგანს ვსწავლობ იმიტომ, რომ თანაკლასელებმა ჭკვიანად ჩამთვალონ

ა) სრულიად ვეთანხმები

ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები

გ) არ ვეთანხმები დ) სხვა

11. ამ საგანს ვსწავლობ იმიტომ, რომ მასწავლებლის ყურადღება მივიქციო

ა) სრულიად ვეთანხმები

ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები

გ) არ ვეთანხმები დ) სხვა

12. ამ საგანს არ ვსწავლობ, იმიტომ რომ რთულია

ა) სრულიად ვეთანხმები

ბ) ნაწილობრივ ვეთანხმები

გ) არ ვეთანხმები

დ) სხვა

13. როგორ შეაფასებდი შენს თავს გეოგრაფიის გაკვეთილზე:

ა)ყოველთვისვიყავი აქტიური;

ბ)ზოგჯერ ვიყავი აქტიური;

გ) არასდროს ვიყავი აქტიური

დანართი #2: მოსწავლეების ფოკუს-ჯგუფის კითხვარი(დიაგნოსტირების ეტაპზე)

1. როგორ ამოწმებს მასწავლებელი იმას, თუ რამდენად გასაგებია თქვენთვის ახალი მასალა? შეგიძლია მოიყვანო მაგალითი?

2. როგორ იქცევა, ან რას ამბობს მასწავლებელი, როდესაც შეკითხვებს სწორად პასუხობთ? შეგიძლია მოიყვანო მაგალითი?

3. როგორ იქცევა, ან რას ამბობს მასწავლებელი, როდესაც დავალება კარგად გაქვთ მომზადებული? შეგიძლია მოიყვანო მაგალითი?

4. როგორ იქცევა, ან რას ამბობს მასწავლებელი, როდესაც დავალება არ გაქვთ

თქვენ, ან თქვენს მეგობარს შესრულებული ? შეგიძლია მოიყვანო მაგალითი?

5. როგორ იქცევა, ან რას ამბობს მასწავლებელი, როდესაც დასმულ კითხვებს

სწორად ვერ პასუხობთ თქვენ, ან თქვენი მეგობარი? შეგიძლია მოიყვანო მაგალითი?

6. როგორ მიგითითებთ მასწავლებელი თქვენ მიერ დაშვებულ შეცდომებზე? შეგიძლია მოიყვანო მაგალითი?

7. რამდენად კარგად არის გასაგები თქვენთვის, თუ რატომ შეგაფასათ მასწავლებელმა ამა თუ იმ ქულით? მაგალითად, თუ მასწავლებელმა დაგიწერა 8 ქულა, გიხსნით თუ არა, რა შეასრულეთ კარგად და რა ვერ შეასრულეთ?

8. რამდენად ხშირად აფასებთ მოსწავლეები ერთმანეთს გაკვეთილზე? თუ ერთხელ

მაინც გაგიკეთებიათ ურთიერთშეფასება, შეგიძლია აღწერო, კონკრეტულად რა და როგორ შეაფასეთ?

9. რამდენად ხშირად აფასებთ საკუთარ თავს გაკვეთილზე? თუ ერთხელ მაინც

შეგიფასებია საკუთარი თავი, შეგიძლია აღწერო, კონკრეტულად რა და როგორ შეაფასე?

10. მართავთ, თუ არა კლასში დისკუსიებს საგაკვეთილო თემებთან დაკავშირებით? შენ რამდენად ხარ ჩართული?

11. თუ მართავთ დისკუსიებს, როგორ ფიქრობ, რაში გეხმარებათ ეს?

12. რას აკეთებთ როცა რაიმეს ვერ იგებთ?

13. როგორ იგებს მასწავლებელი, რომ რაიმე ვერ გაიგეთ?

დანართი #3: ინტერვიუ მასწავლებელთან (დიაგნოსტირების ეტაპი)

1. რამდენად აქტიურად არიან მოსწავლეები ჩართულნი სასწავლო პროცესში?

2. რა იცით განმავითარებელი შეფასების შესახებ? დაგვისახელეთ რამდენიმე

ინსტრუმენტი.

3. იყენებთ თუ არა განმავითარებელ შეფასებას სასწავლო პროცესში? რა სახით? რა ინსტრუმენტებს იყენებთ?

4. რამდენად საჭიროდ, ან მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ განმავითარებელი შეფასების გაკეთება?

5. როგორ იღებთ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა ახსნილი მასალა?

6. როგორ იქცევით, თუ მოსწავლეს დავალება არ აქვს შესრულებული, ან ვერ პასუხობს დასმულ შეკითხვებს?

7. როგორ იქცევით, თუ მოსწავლეს დავალება კარგად აქვს შესრულებული, ან კარგად პასუხობს დასმულ შეკითხვებს?

8. იყენებთ თუ არა ურთიერთშეფასებას გაკვეთილზე და რა სიხშირით?

9. იყენებთ თუ არა თვითშეფასებას გაკვეთილზე და რა სიხშირით?

10. მართავთ, თუ არა კლასში დისკუსიებს საგაკვეთილო თემებთან დაკავშირებით? რა სიხშირით?

11. როგორ ფიქრობთ, რატომ სწავლობენ თქვენი მოსწავლეები თქვენს საგანს? ინტერესის გამო? იმიტომ რომ ჭკვიანად ჩათვალონ? იმიტომ, რომ დაიკმაყოფილონ ცნობისმოყვარეობა... იყონ თანაკლასელებზე უკეთესი... და ა.შ.

12. როგორ ფიქრობთ, რა სჭირდება მასწავლებელს, იმისათვის რომ სწორად გააკეთოს განმავითარებელი შეფასება? ტრენინგები? მეტი სახელმძღვანელოები? მეტი დრო?

13. გავლილი გაქვთ თუ არა ტრენინგები განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით და თუ გავლილი გაქვთ, რაიმე თუ შეცვალეთ სწავლებასა და შეფასებაში მას შემდეგ.

დანართი #4: მოსწავლეების ფოკუს-ჯგუფის კითხვარი (ინტერვენციების შემდგომ ეტაპზე)

1. განსხვავდებოდა თუ არა ინტერვენციების განხორციელებამდე ჩატარებული გაკვეთილებისგან შემდგომი გაკვეთილები?

2. რით განსხვავდებოდა ეს გაკვეთილები ერთმანეთისგან?

3. შეიცვალა თუ არა თქვენი დამოკიდებულება ქართულის საგნისადმი? თუ შეიცვალა, როგორ?

4. მოგეწონათ თუ არა აქტივობები, რომლებიც მასწავლებელმა გამოიყენა?

5. ისურვებდით თუ არა მომავალი წლიდან მსგავსი აქტივობებით ჩატარებულ გაკვეთილებს?

6. ისურვებდით თუ არა სხვა საგნის მასწავლებლებმაც მსგავსი აქტივობები განახორციელოს?

7. რით განსხვავდება ამ ეტაპზე თქვენთვის ქართულის საგანი სხვა საგნებისგან?

8. როგორ შეაფასებდით ქართულის გაკვეთილს?

დანართი #5 შესასვლელი და გასასვლელი ბარათები

შესასვლელი ბარათი

სახელი და გვარი: ----------	გაკვეთილის მიზანი (გადაიწერეთ ეკრანიდან) ----------
რა არის ჩემთვის ცნობილი ამ საკითხთან დაკავშირებით? ----------	რა არის ჩემი მიზანი ამ გაკვეთილზე? ----------
ერთი კითხვა, რომელსაც მინდა, რომ პასუხი გაეცეს: ----------	ძირითადი ტერმინები: ----------
რამდენად დარწმუნებული ვარ ჩემს ცოდნაში ამ საკითხთან დაკავშირებით:	

	

გასასვლელი ბარათი

დღევანდელი გაკვეთილის მიზანი იყო **.....** **.....3** **ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ გაკვეთილიდან დამამახსოვრდა** **1.....** **2.....** **3.....** **ამ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა რეალურ ცხოვრებაში დამეხმარება** **.....** **.....**

დანართი #6 „ვიცი - მინდა ვიცოდე - ვისწავლე“

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე

დანართი #7 სამოტივაციო ბარათები



დანართი #8 გრაფიკული ორგანიზატორები

შედარება



პერსონაჟის რუკა




უცნობი სიტყვა
სინონიმი
უცნობი სიტყვის განმარტება
ამ სიტყვის შემ-ცველი ყველაზე გავრცელებული სიტყვათშეხამება
ანტონიმი
ფრაზა ტექსტიდან
მოსწავლის ფრაზა


თავიდან – მერე – ბოლოს
ტექსტის სათაური:
რა მოხდა დასაწყისში?
რა მოხდა შუა ნაწილში?
რა მოხდა ბოლოს?

დანართი 1.

გმირის რუკა

<u>გმირის სახელი</u>



ნიმუში:

ნაწარმოების სათაური _____

პერსონაჟი _____

ფიქრობს _____

აკეთებს _____

ამბობს _____

გრძნობს _____

შედეგი _____

გმირის მიზანი _____



ზღაპარში

ჩემს გონებაში

დასვი კითხვა, რომლის პასუხი ტექსტშია _____ _____	დასვი კითხვა, რომლის პასუხი ტექსტში არ არის, მაგრამ იგულისხმება _____ _____
ტექსტშივე მოიძიე პასუხი _____ _____ _____	თავად უპასუხე შენ მიერ დასმულ შეკითხვას _____ _____ _____

ოთხი რატომ

რატომ აქვს მოთხრობას ეს სათაური? ....
რატომ არის ეს პესონაჟი მთავარი? ....
რატომ თვლი ასე? ....
რატომ მოგეწონა ან არ მოგეწონა? ....

ზღაპრის (ამბის) პირამიდა

შეავსე პირამიდა:

1. მთავარი გმირის სახელი;
2. ორი სიტყვა, რომლებიც ახასიათებს მთავარ პერსონაჟს;
3. სამი სიტყვა, რომლებიც აღწერს ფაქტს;
4. ოთხი სიტყვა, რომლებითაც აღიწერება პრობლემა/მიზანი
5. ხუთი სიტყვა, რომლებიც გამოხატავს პრობლემის შეჯამებას.



რეფლექსია კვლევის გაზიარების შესახებ

სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქ. ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში, 2018-2019 სასწავლო წელს ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე - განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა ჩართულობის გასაზრდელად Vა კლასის მაგალითზე.

ჩემი კვლევის მიზანი იყო, სასწავლო პროცესში აქტიურად გამომეყენებინა განმავითარებელი შეფასება და ამ შეფასების საშუალებით საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა გამეზარდა. ასევე, გამეზიარებინა კოლეგებისათვის საკუთარი გამოცდილება, რათა მათაც შეძლონ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება.

ასევე, მინდოდა, ამ კვლევის ფარგლებში, სწავლების დროს გამეთვალისწინებინა მოსწავლეთა ინტერესები, მინდოდა თითოეულ მოსწავლეს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოეყენებინა, ამემაღლებინა მათი თვითშეფასება. ამგვარად გავზრდიდი მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას.

ჩემი კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა, გამომეყენებინა საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები და გამეზიარებინა კოლეგებისათვის საკუთარი გამოცდილება.

ვფიქრობ, რომ მიზანს მივაღწიე და შესაძლებელი გახდა ჩემი კვლევა გამეზიარებინა კოლეგებისათვის.

კვლევა გრძელდებოდა ცხრა თვის განმავლობაში (2018-2019 სასწავლო წლის ოქტომბრიდან ივნისის ჩათვლით). საკვლევი საკითხის შერჩევის შემდეგ მოვიძიე კვლევასთან დაკავშირებული მასალა და შევარჩიე კითხვარები, რომლებიც განკუთვნილი როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისათვის. ლიტერატურის დამუშავებისა და პირველადი მონაცემების ანალიზის საფუძელზე დავგეგმე ინტერვენციები, რომლებიც მოვარგე მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. მოსწავლეებმა იმუშავეს განსხვავებული მეთოდებით და

გამოუმუშავდათ თანამშრომლობის უნარი. უნდა აღინიშნოს, რომ მათი თვითშეფასება კვლევის დაწყებამდე იყო დაბალი და ეს მონაცემთა ანალიზშიც მაქვს ნაჩვენები, მაგრამ ინტერვენციების განხორციელების შემდეგ ამაღლდა მათი თვითშეფასება. ისეთი მოსწავლეების ჩართულობა გაიზარდა გაკვეთილზე, რომლებიც არასოდეს გამოირჩეოდნენ აქტიურობით, როდესაც ჩემს დაკვირვებებს ვუზიარებდი კოლეგებს ყოველთვის უკვირდათ ამ მოსწავლეების აქტიურობა და ჩართულობა. ამ ყველაფერთან ერთად გამოხატავდნენ განსაკუთრებულ სიყვარულს საგნისა და ჩემ მიმართ.

17 ივნისს გაიმართა კათედრის სხდომა, სადაც ჩატარებული კვლევები გავუზიარეთ პედაგოგებმა ერთმანეთს. კოლეგებმა მომაწოდეს საინტერესო უკუკავშირი, მათ მომიწონეს საკვლევი საკითხი.

ქართულის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ მომავალ წელსაც გავაგრძელებ ამ ინსტრუმენტების გამოყენებას, ასევე, რეკომენდებულია სხვა პედაგოგებმაც გამოიყენონ საკუთარ პრაქტიკაში ჩემი გამოცდილება.

ჩემმა ერთ-ერთმა კოლეგამ აღნიშნა, რომ ამ ინსტრუმენტების მომზადებასა და გამოყენებას დიდი დრო, ენერგია და რესურსები სჭირდება. მე დავეთანხმე, მაგრამ შედეგისთვის ნამდვილად ღირდა.

ჩემმა კოლეგებმა სურვილი გამოთქვეს საკუთარ პრაქტიკაში გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, მათ საინტერესო იდეებიც დააფიქსირეს და პედაგოგიური კვლევის ჩატარების მნიშვნელობასაც გაუსვეს ხაზი.

ერთ-ერთმა მასწავლებელმა მირჩია, რომ კვლევა სკოლის ყველა თანამშრომლისთვის გამეზიარებინა, რათა მათაც დაინახონ ამ კვლევის დადებითი შედეგები და გამოიყენონ საკუთარ პრაქტიკაში.

კვლევა პირველად არ ჩამიტარებია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა - განათლების ადმინისტრირების დასრულების შემდეგ, ყველა საჭირო

უნარ-ჩვევა მქონდა კვლევის ჩასატარებლად. ერთი კვლევა უკვე ჩატარებული მქონდა გააზრებული კითხვის უნარის გამომუშავების შესახებ, მაგრამ როდესაც სკოლაში მოვიდა ახალი სახელმძღვანელო „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“ მარიანა ხუნძაყიშვილისა და სარა ბივერის ავტორობით, გავეცანი და მომინდა კიდევ ჩაეტარებინა კვლევა ამ ინსტრუმენტების გამოყენებით.

ჩემ მიერ შერჩეულმა სტრატეგიებმა კარგად იმუშავა, მხოლოდ ერთადერთი მოსწავლის გააქტიურობა და ჩართულობა არ გაზრდილა, რომელსაც აქვს ენობრივი ბარიერი და არის აზერბაიჯანელი მოსწავლე, მე ამ მოსწავლესთან დავგეგმე განსხვავებული მუშაობა ახალი სასწავლო წლიდან და მომდევნო საკვლევ თემად დავგეგმე - „დიფერენცირებულ მიდგომა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად“.

პრაქტიკის კვლევის განხორციელებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა კვლევის მნიშვნელობაში.

ლია იასაღაშვილი